



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის



MES 0 22 0000918968



18/08/2022

ბრძანება

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო გრაფიკის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/წ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 აგვისტოს № 18 სხდომის ოქმის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022-2023 სასწავლო წელი (სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) დაიწყოს 2022 წლის 03 ოქტომბერს და დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს:

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) I სემესტრი დაიწყო 2022 წლის 03 ოქტომბერს და დასრულდეს 2023 წლის 17 თებერვალს;

ბ) II სემესტრი დაიწყო 2023 წლის 27 თებერვალს და დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს;

სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:

ა) ზამთრის სესიები დაიწყო 2023 წლის 16 იანვარს და დასრულდეს 2023 წლის 28 იანვარს.

ა)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 26 იანვრიდან 2023 წლის 8 თებერვლის ჩათვლით;

ბ) ზაფხულის სესიები დაიწყო 2023 წლის 12 ივნისიდან და დასრულდეს 2023 წლის 24 ივნისს;

ბ)¹ დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 23 ივნისიდან 2023 წლის 5 ივლისის ჩათვლით;

არდადეგების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ზამთრის არდადეგები დაიწყო 2023 წლის 18 თებერვლიდან და დასრულდეს 2023 წლის 27 თებერვალს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;

3. 2022-2023 სასწავლო წელი დასრულდეს 2023 წლის 14 ივლისს;

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისათვის და სამსახურებისათვის;

5. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ა. მოსიაშვილს);

7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის მოადგილე
გელდიაშვილი ნუნუ

